# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 108

ქალაქი ქუთაისი 28 ოქტომბერი 2026 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში, კერძოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხას დაემატოს №586-№588 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭოღვარია

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. №108
"30-10-2026

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2026 წლის 28 ოქტომბრის
№108 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნ უ ს ხ ა

| № | ქონების დასახელება | მისამართი | ფართობი (კვ.მ.) | სარეგისტრა-ციო ნომერი |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 586 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშ-ნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, მელიქიშვილის ქუჩა №8ა-ს დასავლეთით | 279.00 | 03.04.26.649 |
| 587 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშ-ნულების მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა | ქალაქი ქუთაისი, რუას ქუჩა №55 (ნაკვეთი №1) | მიწა - 5029 კვ.მ. და შენობა - ნაგებობა №1 | 03.02.23.386 |
| 588 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშ-ნულების მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა | ქალაქი ქუთაისი, არტურ ლაისტის ქუჩა №5; ქალაქი ქუთაისი, ვოლგოგრადის ქუჩა №1 | მიწა - 2266 კვ.მ. და შენობა - ნაგებობა №1 და №2 | 03.01.03.630 |

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭილვარია